



ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებელი

ბრძანება

№538

2017 წლის 25 მაისი

ქ.ლაგოდეხი

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ხის მორების, უპირობო ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის“ კოდექსი 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე-ე“ და „დ.ა“ ქვეპუნქტების, 118-ე მუხლის პირველი და 119-ე მუხლის მე-2 პუნქტების, აგრეთვე ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 17 ივნისის N31 განკარგულების “ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ” და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 5 მაისის N15 განკარგულების“ შესაბამისად

ვბრძანებ:

მუხლი 1. პრივატიზებულ იქნას განმეორებით უპირობო ელექტრონული აუქციონის ფორმით, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხაში დამტკიცებულ ხის მორები კერძოდ: კედარი - 40 ცალი (45,13 მ<sup>3</sup>); ვიპაროსი - 24 ცალი (5,21 მ<sup>3</sup>) ალვის ხე - 5 ცალი (1,46 მ<sup>3</sup>) კანადური ვერხვი - 22 ცალი (19,12 მ<sup>3</sup>) ; ვერხვი - 9 ცალი (2,37 მ<sup>3</sup>); კაკალი - 9 ცალი (2,27 მ<sup>3</sup>) - სულ 109 ცალი (75,56 მ<sup>3</sup>).

*საფუძველი: ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მრთვის, ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის, ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსის 24 მაისის N1195 მოხსენებითი ბარათი/.*

მუხლი 2. საწყისი საპრივატიზებო ფასის 50% -ით შემცირების შემდგომ, განისაზღვროს - 5480 (ხუთი ათას ოთხასოთხმოცი) ლარის ოდენობით.

მუხლი 3. საგარანტიო თანხა განისაზღვროს - 548 ლარის ოდენობით, ხოლო ბიჯი - 548 ლარის ოდენობით.

მუხლი 4. დაევალოს ბრძანების პირველი მუხლით განსაზღვრული ქონების ელექტრონული აუქციონის ჩატარების ორგანიზება მუნიციპალიტეტის აუქციონატორს ივანე ყაველაშვილს.

მუხლი 5. ბრძანება ძალაში შედის მხარისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.

მუხლი 6. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში გურჯაანის რაიონულ სასამართლოში შემდეგ მისამართზე: სანაპიროს ქ. №24.

გამგებელი:



კარლო ჯამბურია